ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4511406

ნომერი: AR1682074

თარიღი : 17.05.2019

გაცემის თარიღი : 24.05.2019

გაცნობის თარიღი : 24.05.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანი N91ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გულნაზი ლომსაძე პ/ნ 01023011033
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სანზონის დასახლება, კორპუსი 12, ბინა 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.
- საპროექტო მიწის ნაკვეთზე დადგენილია განაშენიანების რეგულირების ხაზი და შენობის განთავსებისას დაცული უნდა იქნას აღნიშნული მანძილი (იხ. დანართი). საჭიროა სამსახურის მიერ გადმოგზავნილ დანართზე დაიტანოთ საპროექტო შენობის ზუსტი განთავსების ადგილი, სადაც დაცული იქნება განაშენიანების რეგულირების ხაზი.
- ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით წარმოადგინეთ იპოთეკარის, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი"-ს (წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული) სათანადოდ დამოწმებული თანხმობა შენობა/ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასევე დაურთეთ ხელმომწერი პირის შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საპროექტო მიწის ნაკვეთზე გადის მილსადენი, მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი, (საკ. კოდით #01.01.834) მესაკუთრე სახელმწიფო. საჭიროა წარმოადგინოთ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.
- საპროექტო მიწის ნაკვეთზე ასევე ფიქსირდება სატელეფონო არხი, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.